

ქართული უნივერსიტეტის VIII პირად-გუნდური ოლიმპიადა
წმიდა ანდრია პირველწოდებულის თასის მოსაპოვებლად

ისტორია - VII კლასი

მონაწილის გვარი, სახელი, ტელეფონი _____

სკოლა, კლასი _____

თანაგუნდელის გვარი, სახელი _____

მასწავლებლის გვარი, სახელი _____

I დავალება - ოთხი შესაძლო ვარიანტიდან აირჩიეთ ერთი სწორი პასუხი

ინსტრუქცია:

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. უნდა შემოხაზოთ სწორი პასუხი. თითოეული დავალება ერთი (1) ქულით ფასდება.

(1) 1. ვის ეკუთვნის გამონათქვამი „პლატონი (ჩემი) მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება - კიდევ უფრო დიდი მეგობარი“?

ა. არისტოტელეს ბ. სოკრატეს გ. დემოსთენეს დ. კირკეგორს

(1) 2. ვის ეკუთვნის გამონათქვამი: „მე ვიცი მხოლოდ ის, რომ არაფერი ვიცი“?

ა. არისტოტელეს ბ. სოკრატეს გ. დემოსთენეს დ. კირკეგორს

(1) 3. ვის ეკუთვნის გამონათქვამი: „შეიცან თავი შენი“?

(2) ა. არისტოტელეს ბ. სოკრატეს გ. დემოსთენეს დ. კირკეგორს

(1) 4. რომელი წლიდან მონაწილეობენ ქართველი სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებში?

ა. 1950 წ. ბ. 1951 წ. გ. 1952 წ. დ. 1953 წ.

(1) 5. რატომ გადასცემდნენ ძველ საბერძნეთში ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულს თასს?

ა. თასი ზევსის ატრიბუტია ბ. გამარჯვებულს თასიდან უნდა დაეღია ღვინო
გ. თასი დედამიწის სიმბოლო იყო დ. თასი ქალისადმი პატივისცემის ნიშანი იყო

(1) 6. რამდენმეტრიანი იყო ალექსანდრიის შუქურა?

ა. 110 მ. ბ. 115 მ. გ. 120 მ. დ. 125 მ.

(1) 7. დღეს როგორ კანონებს უწოდებენ დრაკონულს?

ა. მეტისმეტად მკაცრს ბ. მსუბუქს გ. ზომიერს დ. შეუსრულებადს

(1) 8. ვინ შექმნა პირველი ანბანური დამწერლობა?

ა. ეგვიპტელებმა ბ. ფინიკიელებმა გ. ხეთებმა დ. ინდოელებმა

(1) 9. ვინ დააარსა მსოფლიოში პირველი ბიბლიოთეკა?

ა. ხეოფსმა ბ. ასურბანიფალმა გ. ალექსანდრე მაკედონელმა დ. ნაბუქოდონოსორმა

(1) 10. მსოფლიოში პირველებმა შექმნეს ანდაზები

ა. შუმერებმა ბ. ასურელებმა გ. ეგვიპტელებმა დ. ბერძნებმა

(1) 11. რომელ საუკუნეში გამოიგონეს შორსმხედველთათვის სათვალე?

ა. XIII ს. ბ. XIV ს. გ. XV ს. დ. XVI ს.

(1) 12. რომელ საუკუნეში გამოიგონეს ახლომხედველთათვის სათვალე?

ა. XIII ს. ბ. XIV ს. გ. V სს. დ. XVI ს.

(1) 13. რაზე ზის სხდომების დროს ლორდთა პალატის თავმჯდომარე?

ა. მატყლით გატენილ ტომარაზე ბ. თივით გატენილ ტომარაზე
გ. ოქროთი გატენილ ტომარაზე დ. ფულით გატენილ ტომარაზე

(1) 14. რატომ განდევნეს 1290 წელს ებრაელები ინგლისიდან?

ა. ხელისუფლებას მათი ვალები დაუგროვდა ბ. მათი კანის ფერის გამო
გ. ისინი სამეფო ხელისუფლებას ებრძოდნენ დ. მათ ქრისტეს სიკვდილში ადანაშაულებდნენ

(1) 15. ვის უწოდეს „უნივერსალური ობოზა“?

ა. ლუი XI-ს ბ. შარლ VII-ს გ. შარლ VI-ს დ. ლუი X-ს

(1) 16. რომელ წელს გახდა იან ჰუსი კარლის უნივერსიტეტის რექტორი?

ა. 1400 წ. ბ. 1401 წ. გ. 1402 წ. დ. 1403 წ.

(1) 17. რომელი ხალხი ეძახდა თავის სამშობლოს „სამყაროს ყვავილს“?

ა. ასურელები ბ. ეგვიპტელები გ. ბერძნები დ. ჩინელები

(1) 18. ვის ეკუთვნის სიტყვები: „თბილისის თავზე ფრიალებს წითელი დროშა, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს“!

ა. ფილიპე მახარაძეს ბ. სერგო ორჯონიკიძეს გ. ვლადიმერ ლენინს დ. იოსებ სტალინს

(1) 19. ვინ დააარსა „ქართული საერო ხორო“?

ა. ლადო აღნიაშვილმა ბ. ზაქარია ფალიაშვილმა
გ. ხარლამპი სავანელმა დ. ალოიზ მიზანდარმა

(1) 20. რა ჰქვია პირველ ქართულ მხატვრულ ფილმს?

ა. „ხევისბერი გოჩა“ ბ. „ნატვრის ხე“
გ. „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ დ. „ქრისტინე“

(1) 21. რომელ წელს გადამტკიცდა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“?
ა. 1917 წ. ბ. 1918 წ. გ. 1919 წ. დ. 1920 წ.

(1) 22. ჩამოთვლილთაგან რომელი არ იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი?
ა. სამსონ ფირცხალავა ბ. ექვთიმე თაყაიშვილი გ. ივანე ჯავახიშვილი დ. კარლო ჩხეიძე

(1) 23. რომელ წელს ჩატარდა საქართველოში რეფერენდუმი?
ა. 1989 წ. ბ. 1990 წ. გ. 1991 წ. დ. 1992 წ.

(1) 24. ვის ეკუთვნის ნაწარმოები „დიდი ღამე“?
ა. კონსტანტინე გამსახურდიას ბ. ლეო ქიაჩელს გ. გრიგოლ აბაშიძეს დ. ლევან გოთუას

(1) 25. რომელ წელს მოხდა რუსეთში ე.წ. პუტჩი?
ა. 1990 წ. ბ. 1991 წ. გ. 1992 წ. დ. 1993 წ.

(1) 26. ვინ იყო საქართველოს პირველი პრეზიდენტი?
ა. ნოე რამიშვილი ბ. ნოე ჟორდანიას გ. ზვიად გამსახურდია დ. ედუარდ შევარდნაძე

II დავალება - ქრონოლოგიის განსაზღვრა

ინსტრუქცია

დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით ინგლისის პირველი პირები შესაბამისი თანმიმდევრობით (უძველესიდან უახლესისაკენ). პასუხები ჩაწერეთ მოცემულ უჯრებში. იწერება მხოლოდ დასახელებული პიროვნების შესაბამისი ციფრი. II დავალება ოთხი (4) ქულით ფასდება.

(4) 27. დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით უძველესიდან უახლესისაკენ ინგლისის პირველი პირები

1. ჰენრი VIII 2. ელიზაბეთ I 3. ჯეიმზ I 4. ჩარლზ I

--	--	--	--	--

III დავალება - შეცდომების აღმოჩენა და გასწორება

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. იპოვეთ დაშვებული შეცდომები. ტექსტის ბოლოში წარმოდგენილ პასუხების ცხრილში გადაიტანეთ ნაპოვნი ფაქტობრივი შეცდომები და მათი შესწორებული ვარიანტები. გაითვალისწინეთ, რომ შეფასდება როგორც თქვენ მიერ ნაპოვნი შეცდომა (1 ქულით), ისე მისი შესწორებული ვარიანტი (1 ქულით). ასევე გაითვალისწინეთ, რომ პასუხების ცხრილის შესაბამის ადგილას უნდა ჩაიწეროს მხოლოდ ერთი სიტყვა, თარიღი, სახელი და ა. შ. და არავითარ შემთხვევაში, მთელი წინადადება ან თუნდაც რამდენიმე სიტყვა. III დავალება მაქსიმუმ ათი (10) ქულით ფასდება.

(10) 28. თამარ მეფე

თამარი გიორგი მეორის ტახტის მემკვიდრე იყო. 1179-1184 წლებში მამა-შვილი ერთად მართავდნენ სამეფოს. 1184 წლიდან თამარი ერთპიროვნული მმართველი გახდა. ქალი მეფის ზეობისას დიდებულებმა დავით აღმაშენებლის დროს დაკარგული უფლებებისა და გავლენის აღდგენა მოინდომეს. თავდაპირველად მათ ამირსპასალარ ზაქარიასა და მსახურთუხუცეს აფრიდონის გადაყენება მოითხოვეს. თამარმა დაუთმო დიდებულებს.

მალე მეფის ხელისუფლების შეზღუდვის მოთხოვნა წამოაყენა მანდატურთუხუცესმა ყუთლუ-არსლანმა. ყუთლუ-არსლანისა და მისი მომხრეების აზრით, უნდა შექმნილიყო ახალი სახელმწიფო ორგანო ე.წ. „კარავი“. „კარავის“ წევრები იქნებოდნენ დიდებულები და ისინი გადაწყვეტდნენ ყველა მნიშვნელოვან საკითხს. მიღებულ გადაწყვეტილებას მეფეს შეატყობინებდნენ, რომელსაც უნდა აღესრულებინა ეს გადაწყვეტილება. მეფის ბრძანებით ყუთლუ-არსლანი დააპატიმრეს. ამან მისი მომხრეების აღშფოთება გამოიწვია. თამარი იძულებული გახდა ყუთლუ-არსლანი გაენთავისუფლებინა. ყუთლუ-არსლანმა დაკარგა თანამდებობა და საერთოდ გაქრა პოლიტიკური ასპარეზიდან. „კარავის“ იდეა უარყოფილ იქნა. სამაგიეროდ, გადაწყდა, რომ ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისას მეფე დარბაზის წევრებს მოეთათბირებოდა.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო თამარის დაქორწინების საკითხი. თამარის ქმარი, ფაქტობრივად, სამეფოში მეორე პირი იქნებოდა, ამიტომ საჭირო იყო სათანადო კანდიდატურის შერჩევა. მსურველები ბევრნი იყვნენ, მაგრამ გადაწყდა, რომ თამარის ქმრად მოეყვანათ ვლადიმირსუზდალის მთავრის შვილი ანდრია. თამარი წინააღმდეგი იყო სწრაფი ქორწინებისა და თვლიდა, რომ ჯერ უნდა გაეგოთ, თუ როგორი პიროვნება იყო ის. დიდებულებმა თავისი გაიტანეს. თამარის მეუღლემ უარყოფითი თვისებები გამოავლინა. თამარი გაეყარა მას და საქართველოდან გააძევა. 1188 წელს თამარი ხელმეორედ დაქორწინდა ოსთა უფლისწულ დავით სოსლანზე. მათ შეეძინათ ორი შვილი გიორგი და მარიამი. გიორგის დაბადებასთან დაკავშირებით ქართველებმა დიდი ლაშქრობა მოაწყვეს ბარდავში.

	არის	უნდა იყოს
1		
2		
3		

4		
5		